

 <p>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</p> <p>საქსტატი</p> <p>www.geostat.ge</p>	<p>მისამართი: თბილისი 0180, ცოტნე დადიანის ქ. #30 ტელეფონი: (+995 32) 236 72 10 ელ. ფოსტა: info@geostat.ge ვებ-გვერდი: www.geostat.ge</p>
<p>განათლების სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის სტატისტიკური გამოკვლევა</p>	<p>კითხვარი # 04.0.5.6-1 (ერთდროული) დამტკიცებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2020 წლის 4 სექტემბრის #11 დადგენილებით</p>

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური მონაცემი და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით. ის გამოიყენება მხოლოდ კრებსითი სტატისტიკური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

დაკვირვების უბანი

შინამეურნეობის №

რესპონდენტის სახელი და გვარი

რესპონდენტის საკონტაქტო ტელეფონი

ქალაქის:		მობილური:	
(კოდი)	(ნომერი)	(კოდი)	(ნომერი)

	სახელი, გვარი	ხელმოწერა	კოდი
ინტერვიუერი			
ზედამხედველი			

ინტერვიუს ჩატარების თარიღი: _____ / _____ / _____
 რიცხვი თვე წელი

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!

წაკითხეთ რესპონდენტს: შინამეურნეობებში განათლების სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის სტატისტიკური კვლევის მიზანს, 2019 წლის განმავლობაში განათლების სფეროში გაწეული ხარჯების დადგენა წარმოადგენს.

კითხვარი შედგება 2 ნაწილისგან:

I. **ზოგადი ინფორმაცია** - მოიცავს ინფორმაციას შინამეურნეობის იმ წევრების შესახებ, რომელთაც გარკვეული ფორმით მიიღეს განათლება 2019 წელს.

II. **განათლებაზე გაწეული ხარჯები** - მოიცავს ხარჯებს, განათლების კატეგორიისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით.

ინტერვიუერს: გამოკვლევაში არ მონაწილეობს შინამეურნეობა, რომლის წევრის/წევრების განათლების მიღებაზე 2019 წელს თვითონ და კითხვარში მოცემულ დაფინანსების არცერთ სხვა წყაროს ხარჯი არ გაუწევია.

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია								
N	სახელი, გვარი	სქესი	ასაკი	2019 წელს მიღებული განათლება				
				5	6	7	8	9
1	2	3	4	5	6	7	8	9
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								

სქესის კოდი: მამრობითი - 1; მდედრობითი - 2.

კოდი	განათლების კატეგორია
1	სკოლამდელი განათლება
1.1	კერძო სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება
1.2	სახელმწიფო სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება
2	დაწყებითი - საშუალო განათლება
2.1	კერძო სკოლაში
2.2	საჯარო სკოლაში
3	პროფესიული განათლება
4	უმაღლესი განათლება
5	განათლება სპორტულ, სარეკრეაციო და კულტურის სფეროებში
6	დამხმარე მომსახურება განათლების სფეროში
7	კერძო მასწავლებლის მომსახურება
8	მოსამზადებელი ცენტრების მომსახურება
9	საზღვარგარეთ განათლების მიღება

ნაწილი II. განათლებაზე გაწეული ხარჯები							
N	განათლების კატეგორია	კერძო პირი	კერძო კომპანია	დამფინანსების წყარო			
				საერთაშორისო/ არასამთავრობო ორგანიზაცია	სახელმწიფო	სხვა დამფინანსებელი (გთხოვთ, მიუთითოთ)	სხვა დამფინანსებლის გაწეული ხარჯი
1	სკოლამდელი განათლება კერძო სააღმზრდელო დაწესებულებაში						
2	დაწყებითი - საშუალო განათლება კერძო სკოლაში						
3	ტექნიკური და პროფესიული განათლება						
4	უმადლესი განათლება						
5	განათლება სპორტის, სარეკრეაციო და კულტურის სფეროებში						
6	დამხმარე მომსახურება განათლების სფეროში						
7	კერძო მასწავლებლის, რეპეტიტორის მომსახურება						
8	მოსამზადებელი ცენტრების მომსახურება						
9	საზღვარგარეთ განათლების მიღება						

ინსტრუქცია

ინტერვიუს დროს გამოიკითხება შინამეურნეობის ის წევრი/წევრები, რომელიც ინფორმირებულია განათლების სფეროში გაწეული ხარჯების მოცულობასთან დაკავშირებით. განათლებაზე გაწეული ხარჯი გულისხმობს მხოლოდ გადასახადის სახით გადახდილ ხარჯს. სხვა დამატებითი ხარჯი, რომელიც შეიძლება გაწიოს შინამეურნეობამ (მაგალითად: სკოლის ინვენტარის ან სასწავლო მასალის ხარჯი), არ მიეკუთვნება განათლებაზე გაწეული ხარჯების კატეგორიას და არ ჩაიწერება კითხვარში.

კითხვარი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ივსება შემდეგი ინფორმაცია 2019 წელს შინამეურნეობის განათლების მიმღები წევრის/წევრების შესახებ: **სახელი, გვარი, სქესი, ასაკი, 2019 წელს მიღებული განათლება**. სქესის და მიღებული განათლების კატეგორიის განსაზღვრისთვის გამოიყენება კითხვარის პირველ ნაწილში მითითებული კოდები.

კითხვარის მეორე ნაწილში ივსება 2019 წელს განათლებაზე გაწეული ხარჯები განათლების კატეგორიებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით.

განათლების კატეგორიები:

1. **განათლება კერძო სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში** - მოიცავს მხოლოდ კერძო სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში გადასახადის სახით გაწეულ ხარჯს და არ მოიცავს წრეებზე ან სხვა მიზნით გადახდილ თანხას.
2. **დაწყებითი - საშუალო განათლება კერძო სკოლებში** - მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლებაზე კერძო სკოლებში გადასახადის სახით გაწეულ ხარჯს. არ მოიცავს სკოლაში წრეებზე ან სხვა მიზნით გაწეულ ხარჯს.
3. **პროფესიული განათლება** - მოიცავს ხარჯებს განათლების შემდეგი კატეგორიებისთვის: მოკლე პროფესიული პროგრამები (2 წლამდე), ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის სკოლების მომსახურება, ენების სწავლების სკოლების მომსახურება, ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლების მომსახურება და სხვ. ასევე, მოიცავს ხარჯებს ონლაინ სწავლებაზე ტექნიკური და პროფესიული განათლების მიღების მიზნით.
4. **უმაღლესი განათლება** - მოიცავს უნივერსიტეტის სწავლის გადასახადს, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურისა და რეზიდენტურის საფეხურებზე.
5. **განათლება სპორტის, სარეკრეაციო და კულტურის სფეროებში** - მოიცავს მომსახურებას სპორტულ, სარეკრეაციო და კულტურის განათლების სფეროში. მაგალითად: ბანაკების მომსახურებას სპორტული სწავლებით, მომსახურებას ტანვარჯიშის სწავლებით, მომსახურებას იოგას სწავლებით, ცეკვისა და სამუსიკო სკოლების და მასწავლებლების მომსახურებას, სახვითი ხელოვნების სკოლებისა და მასწავლებლების მომსახურება და სხვ.
6. **დამხმარე მომსახურება განათლების სფეროში** - მოიცავს არასასწავლო მომსახურებას, რომელიც განკუთვნილია საგანმანათლებლო პროცესების ან სისტემების მხარდასაჭერად.
7. **კერძო მასწავლებლის, რეპეტიტორის მომსახურება**.
8. **მოსამზადებელი ცენტრების მომსახურება**.
9. **საზღვარგარეთ განათლების მიღება** - მოიცავს ყველა კატეგორიის განათლებას ქვეყნის გარეთ.

დაფინანსების წყაროები:

1. **კერძო პირი** - კერძო პირს წარმოადგენს, როგორც თვითონ განათლების მიმღები, ასევე მისი ოჯახის წევრი ან სხვა ფიზიკური პირი, რომელიც არ განეკუთვნება კითხვარში მოცემულ სხვა დაფინანსების წყაროს.
2. **კერძო კომპანია** - კომპანია, რომელიც დარეგისტრირებულია იურიდიულ პირად.
3. **საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაცია**
4. **სახელმწიფო** - მოიცავს, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებას.
5. **სხვა დამფინანსებელი (გთხოვთ, მიუთითოთ)** - დაფინანსების სხვა წყარო, რომელიც არ არის მოცული ზემოთ დასახელებულ კატეგორიებში.
6. **სხვა დამფინანსებლის გაწეული ხარჯი** - მოიცავს სხვა დამფინანსებლის მიერ გაწეული ხარჯს.

იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტის მიერ ვერ ხდება ხარჯის განსაზღვრა, დაფინანსების წყაროს შესაბამის ველში უნდა ჩაიწეროს აღნიშვნა: „ - “.